გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 109

2025 წლის 12 სექტემბერი
ქ. გორი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტისა და ”გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილების 54-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო,

ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 12 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგის პროექტი დანართი N1-ის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე — დავით რაზმაძე

დანართი N1

საკრებულოს 2025 წლის 12 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგის პროექტი

1. „გორის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 11 ივლისის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” დადგენილების პროექტი;

/მომხს.ლეილა მამულაშვილი/

2. „გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირობიანი აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის, თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მერაბ მელანაშვილი/

3. „გორის მუნიციპალიტეტის ქონების სს „სილქნეტისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მერაბ მელანაშვილი/

4. „გორის მუნიციპალიტეტის ქონების შპს „მაგთიკომისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მერაბ მელანაშვილი/

5. „გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აგრო მოლი“-ს შორის 2021 წლის 19 აგვისტოს გაფორმებული №13 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მერაბ მელანაშვილი/

6. „გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აგრო მოლი“-ს შორის 2022 წლის 26 იანვარს გაფორმებული №1 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მერაბ მელანაშვილი/

7. „გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აგრო მოლი“-ს შორის 2021 წლის 13 ოქტომბერს გაფორმებული №17 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მერაბ მელანაშვილი/

8. „გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტობუსების გაჩერების ადგილების განსაზღვრისა და ავტობუსების გაჩერების ადგილებზე საგზაო ნიშნებისა და საგზაო ჰორიზონტალური მონიშვნების განთავსების თაობაზე“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 8 იანვრის №73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მანუჩარ ლაფაჩი/

9. „გორის მუნიციპალიტეტის ზეღდულეთის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მანუჩარ ლაფაჩი/

10. „გორის მუნიციპალიტეტში, გადასარბენი აგარა-გორი 2420კმ პკ7 სკრის დაცული სარკინიგზო გადასასვლელის კვეთაზე არსებულ ადგილობრივ მნიშვნელობის გზაზე საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მანუჩარ ლაფაჩი/

11. „გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფრასტრუქტურული განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების 2024 წლის ოქტომბრიდან მიმდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მანუჩარ ლაფაჩი/

12. „ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2024 წლის სექტემბრიდან განვლილი პერიოდის ფინანსური ანგარიშის შეფასების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.ასმათ ტალახაძე/

13. „გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის IY კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.ლეილა მამულაშვილი/

14.“გორის მუნიციპალიტეტის ატენის ხეობის და მიმდებარე ტერიტორიების სივრცის დაგეგმარების გეგმის დამტკიცების შესახებ” დადგენილების პროექტი;

/მომხს. მანუჩარ ლაფაჩი/